საქმე №010332222900148721

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-03-22 **16 სექტემბერი, 2022 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - რევაზ ნადარაია
მოსამართლეები - მირანდა ერემაძე
ალექსანდრე წულაძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ----- ც-----

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ-----ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2021 წლის 06 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნ--- კ---ემ და მოითხოვა ადვოკატ დ----- ც-----ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ----- ც----- განაწყენდა იმით, რომ მის მიერ მიღებული განჩინებით ძალაში დარჩა ადვოკატთან მიმართებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება. ადვოკატმა სოციალური ქსელი - „Facebook"-ის მეშვეობით, როგორც საკუთარ გვერდზე, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სახელწოდებით შექმნილ ყალბ გვერდზე, სადაც მთავარ სურათად (ე.წ.

„cover“) განათავსა ნ--- კ-–---------ის სურათი, გაავრცელა ძალზე შეურაცხმყოფელი სტატუსი, რაც ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის არაერთი ადვოკატისა და მოსამართლისათვის.

ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ნ--- კ-–---------ეს მის მიმართ ამოძრავებს პირადი მიზნები კორუფციული ან სხვა საფუძვლით. მოსამართლეს არ შეუძლია საჩივრის დაწერა, ვერ აყალიბებს აზრს და ვერ აღწერს მოვლენებს, ვერ ამყარებს მტკიცებულებით და მისი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2022 წლის 10 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მას ნ--- კ-–---------ისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, თუმცა მოსამართლე ღირსი იყო შეურაცხყოფის.

ადვოკატის განმარტებით, მას არ ეკუთვნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს რომელიმე „Facebook”-ის გვერდი და ამ გვერდზე რაიმე პოსტი არ განუთავსებია. ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანი წარმოდგენილი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს, რომ პოსტი ეკუთვნის ადვოკატ დ----- ც-–---------ს. თუმცა აქვე ადვოკატი განმარტავს, რომ ამ მოსამართლესთან ცივილური დამოკიდებულება არ ჭრის. ადვოკატი განმარტავს, რომ მოსამართლე ნ--- კ-–---------ემ უნდა მიიღოს ისეთი სამართალი, როგორსაც თავად აძლევს მხარეებს.

ადვოკატის პოზიციით, თუ ჩათვლის საჭიროდ, თავისი უფლების დასაცავად მსგავს მეთოდს, ამგვარ კრიტიკას, კვლავ გამოიყენებს.

ადვოკატმა საქმის წარმოებისას ჯერ განაცხადა, რომ ეს “Facebook” გვერდი არ იყო მისი, შემდეგ მიუთითა, რომ სოციალური ქსელი “Facebook” აქვს, სადაც დარეგისტრირებულია საკუთარი სახელით და გვარით, თუმცა არ ოპერირებს. მოგვიანებით, ადვოკატმა განმარტა, რომ ამჟამად აქვს ანგარიში სოციალურ ქსელ - “Facebook”-ში, თუმცა არ ასახელებს რა მონაცემებით (username) არის დარეგისტრირებული, რადგან „დამნაშავეობა თავად არ უნდა ამტკიცოს“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2022 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №089/21 აღიძრა დისციპლინური დევნა დ----- ც-–---------ის /სიითი №6740/ მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის საფუძვლით და საქმე განხილვის კოლეგიისთვის გადასაცემად გადაეცა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს.

განხილვის შედეგად სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ - ნ--- კ-–---------ემ განიხილა საქმე, სადაც კერძო საჩივრის ავტორის სტატუსით მონაწილეობას იღებდა მოპასუხე ადვოკატი დ----- ც-–---------. აღნიშნული საქმის ფარგლებში გამოტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის №3/ბ-504-21 განჩინებით არ დაკმაყოფილდა ადვოკატ დ----- ც-–---------ის კერძო საჩივარი.
- ადვოკატმა დ----- ც-–---------მ, საკუთარი ელექტრონული ფოსტის d----------@gmail.com მეშვეობით 2021 წლის 25 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით, სადაც მოსამართლე ნ--- კ-–---------ის

მიმართ გამოხატულია აშკარა უპატივცემულობა და გამოყენებულია არაერთი შეურაცხმყოფელი გამონათქვამი.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

– ადვოკატმა დ----- ც----------მ 2021 წლის 25 ნოემბერს გამოაქვეყნა FB პოსტი, რომელიც მიემართება მისი საქმის განმხილველ მოსამართლეს - ნ--- კ---------ეს.

განხილვის კოლეგიამ მიუთითა, რომ როგორც სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებაში, ასევე „Facebook" პოსტში მითითებული ყოველი ფრაზა არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ კრიტიკად, რადგან ის გადმოცემულია უხამსი ფორმით და შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას, უხამსობას („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი) საქმის განმხილველი მოსამართლე ნ--- კ---------ე მოხსენიებულია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით.

ადვოკატის წერის სტილისა და საკითხისადმი ადვოკატის დამოკიდებულების გათვალისწინებით, განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია. ადვოკატი არ ნანობს და მიიჩნევს, რომ თუ კიდევ ექნება შემთხვევა, იგივეს გაიმეორებს, რადგან „საქართველოში ეს ამართლებს". ადვოკატი ფიქრობს, რომ თუ ასე გააგრძელებს, გარკვეულ შედეგებს მიიღებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის განწყობის ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია ეთიკის კომისიის მიერ მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიცემულ რჩევას, დისციპლინურ საქმეში №065/21, 30.03.2022 წელი. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი დ----- ც---------- ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ----- ც---------ის (სიითი №6740) ქმედებაში დადგინდა დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ----- ც---------ის მიერ დარღვეულია სასამართლოს და პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები - „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - დ----- ც----------მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი არ ადასტურებს განცხადებისა და სადავო პოსტის ავთენტურობას,

მიუთითებს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ არ არის დაძლეული მტკიცების ტვირთი, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი დამაჯერებელ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს დაადასტურებდა.

ადვოკატის მითითებით, უტყუარად არ დასტურდება, რომ „Facebook" ანგარიში, რომელიც შექმნილია დ----- ც-----------ის სახელით ნამდვილად მას ეკუთვნის და პოსტი მის მიერაა განთავსებული. ასევე მიუთითებს, რომ არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე ნ--- კ----------ის მიმართ განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მის მიერაა გაგზავნილი.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით მიუთითა, რომ მხოლოდ ელ. ფოსტის მისამართი ლათინური ასოებით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოხდეს ავტორის იდენთიფიცირება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ დ----- ც-----------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ დაფიქსირებული პოზიციიდან გამომდინარე, მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ავთენტურობა, უტყუარობა და მტკიცების ტვირთის გადანაწილება მხარეთა შორის.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ - ნ--- კ----------ემ განიხილა საქმე, სადაც კერძო საჩივრის ავტორის

სტატუსით მონაწილეობას იღებდა მოპასუხე ადვოკატი დ----- ც-–––––––-. აღნიშნული საქმის ფარგლებში გამოტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის №3/ბ-504-21 განჩინებით არ დაკმაყოფილდა ადვოკატ დ----- ც-–––––––-ის კერძო საჩივარი.

როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენს გამოქვეყნებული "Facebook" პოსტი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი განცხადება (#2958-1/3ბ) ეკუთვნის თუ არა ადვოკატ დ----- ც-–––––––-ს.

სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ნ--- კ-–––––––-ის სახელზე შეტანილი №2958-1/3ბ განცხადების ავტორი ადვოკატი დ----- ც-–––––––-ა, ვინაიდან 2021 წლის 25 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადება შეტანილია დ----- ც-–––––––-ის სახელით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით d----------@gmail.com, ელ.ფოსტის მისამართის ინიციალები ემთხვევა ადვოკატის სახელსა და გვარს, ასევე, სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის განხილვისას ეთიკის კომისიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ადვოკატთა ასოციაციას დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას სწორედ ამ ელექტრონულ მისამართზე ჰქონდა ადვოკატთან კომუნიკაცია, რაც ასევე ადასტურებს, რომ აღნიშნული ელექტრონული ფოსტით ნამდვილად ადვოკატი დ----- ც-–––––––- სარგებლობს. სასამართლოში განცხადება შეტანილია იმ მოსამართლის სახელზე, რომლის მიმართაც გამოთქვამს ადვოკატი უკმაყოფილებას, ასევე, განცხადებაზე დაფიქსირებულია დ----- ც-–––––––-ის ხელმოწერა და განცხადებაში მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ემთხვევა ადვოკატ დ----- ც-–––––––-ის მიერ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში წარმოდგენილ საჩივარში მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, ხოლო ნომრის მისადმი კუთვნილება სადისციპლინო პალატის სხდომაზე დაადასტურა თვითონ დ----- ც-–––––––-მ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2021 წლის 25 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ნ--- კ-–––––––-ის მიმართ განცხადება ნამდვილად დ----- ც-–––––––-ის მიერაა გაგზავნილი.

პალატა, ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ "Facebook" ანგარიში (დ----- ც-–––––––-), რომელიც შექმნილია დ----- ც-–––––––-ის სახელით მას არ ეკუთვნის და არ ადასტურებს სადავო პოსტის ავთენტურობას, ასევე ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, "Facebook" პოსტში, რომელიც მიმართულია ასევე მოსამართლე ნ--- კ-–––––––-ის მიმართ, დ----- ც-–––––––- უთითებს, რომ მოსამართლეს მიწერა შემდეგი შინაარსის წერილი და აღნიშნულ პოსტში ადვოკატი სრულად იმეორებს იმ განცხადების (№2958-1/3ბ) ტექსტს, რომელიც მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა მოსამართლე ნ--- კ-–––––––-ის სახელზე. ის, რომ ეს ორი ტექსტი ერთმანეთის იდენტურია, თავად ადვოკატმაც დაადასტურა სადისციპლინო პალატის სხდომაზე.

პალატა ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლოში გაგზავნილი წერილის შინაარსი მხოლოდ ავტორისთვის იქნებოდა ცნობილი და ხელმისაწვდომი, შესაბამისად, მხოლოდ დ----- ც-–––––––-ს შეეძლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადების შინაარსი სიტყვა-სიტყვით აესახა მის "Facebook" პოსტში. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ მითითებულ პოსტს გამოხმაურება მოჰყვა მისივე კოლეგებისა და იურიდიული სფეროს სხვა წარმომადგენლების მხრიდან, რომელთა კომენტარებს კომენტარითვე პასუხობს ადვოკატი დ----- ც-–––––––- და ცდილობს სადავო პოსტის

გამოქვეყნების გამართლებას.

ამასთან, დ----- ც----------მ, მიუხედავად იმისა, რომ არ დაადასტურა სადავო პოსტის მის მიერ გამოქვეყნების ფაქტი, სადისციპლინო პალატის სხდომაზეც ანალოგიური დამოკიდებულება გამოხატა მოსამართლე ნ--- კ---------ის მიმართ და განმარტა, რომ აღნიშნული პოსტის შინაარსს ეთანხმება, იგივე განწყობას ადასტურებს და მიუთითებს, რომ მას შესაბამისი მოტივი და საფუძველი გააჩნდა ასეთი პოსტის გამოსაქვეყნებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს რომ ელექტრონული ფოსტის (d----------@gmail.com) მეშვეობით 2021 წლის 25 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ნ--- კ---------ის მიმართ წერილი ნამდვილად ადვოკატ დ----- ც----------ის მიერაა გაგზავნილი და 2021 წლის 25 ნოემბერს დ----- ც----------ის ანგარიშით გამოქვეყნებული „Facebook" პოსტი, რომელიც ასევე მიმართულია მისი საქმის განმხილველ მოსამართლე ნ--- კ---------ის მიმართ, ადვოკატ დ----- ც----------ს ეკუთვნის.

სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ადვოკატს გააჩნია პროფესიული ეთიკის ნორმების, სასამართლოსთან და პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის წესის დაცვის ვალდებულება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილების მიხედვით, ადვოკატი განმარტავს, რომ ამ მოსამართლესთან ცივილური დამოკიდებულება არ ჭრის და რომ მოსამართლე ნ--- კ---------ემ უნდა მიიღოს ისეთი სამართალი, როგორსაც თავად აძლევს მხარეებს (იხ. პუნქტი 2.8).

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ადვოკატის განაწყენება მის მიმართ (მისი აზრით) უკანონო, უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანამ გამოიწვია. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ თუ მხარე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას საშუალება აქვს გაასაჩივროს იგი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ასევე დასაშვებია გარკვეული კრიტიკაც, რომელიც არ უნდა გასცდეს ზომიერების ფარგლებს. არ დაირღვეს ზღვარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და შეურაცხყოფას შორის.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/7-16)

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოს და არ შელახოს სასამართლოს ან პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. თუმცა ეს არ გულისხმობს ადვოკატის შეზღუდვას, გააკრიტიკოს გადაწყვეტილება ან სასამართლოს ქმედება. სასამართლოები არ არიან იმუნურები კრიტიკის მიმართ. მთავარია, რომ ადვოკატის კრიტიკა გამოხატული იყოს დასაშვები ფორმით და არ გადალახოს ზღვარი. (იურიდიული ეთიკა, თბილისი, 2021, გვ. 459)

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატ დ----- ც-–-------ის მიერ 2021 წლის 25 ნოემბერს როგორც სააპელაციო სასამართლოში გაგზავნილი განცხადების, ასევე "Facebook"-ზე გამოქვეყნებული პოსტის შინაარსი გადმოცემულია უხამსი, უხეში, არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ტერმინებით და მოსამართლისადმი გამოხატულია აშკარა უპატივცემულობა, რაც ვერ მოექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. მსგავსი ტერმინებით გამოხატული აზრი თუ დამოკიდებულება მიუღებელი და შეუფერებელია არათუ ადვოკატის პროფესიისათვის, რომელზეც ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, არამედ ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანისათვის.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის "ვ" პუნქტში მოცემული განმარტების თანახმად უხამსობა - ეს არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს; პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული განმარტება სრულად ესადაგება ადვოკატის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნილ განცხადებასა თუ "Facebook" პოსტში გამოყენებულ კონკრეტულ ტერმინებს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების

გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს. ***(იხ. სუსგ N ას-1559-1462-2012, 09.01.2014წ.).***

მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა მიუთითებს, რომ დ----- ც----------ის მიერ სოციალურ ქსელ "Facebook"-ზე გამოქვეყნებული პოსტი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა არაერთი ადამიანისთვის, მათ შორის ნ--- კ---------ის კოლეგებისა თუ სხვა ნაცნობებისთვის - პატივისა და ღირსების შემლახავია კონკრეტული მოსამართლისთვის, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა გადმოცემულია უხამსი, უხეში, არაეთიკური ტერმინებით.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის განხილვისას ადვოკატმა დ----- ც----------მ თავად დააფიქსირა პოზიცია, რომ განათლებული ადამიანის გამოხატვის ფორმა არ არის უხამსი კომუნიკაცია და არ მიაჩნია სწორად მსგავსი ქმედება.

შესაბამისად, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ადვოკატ დ----- ც----------ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტს.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. დ----- ც----------ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა (მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (მე-9 მუხლის პირველი ნაწილი) მოთხოვნები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ დ----- ც----------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{64} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ დ----- ც-----ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის №089/21 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **რევაზ ნადარაია**

მოსამართლეები: **მირანდა ერემაძე**

ალექსანდრე წულაძე